სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

ზ.გამსახურდიას სანაპირო N1, 0114
თბილისი, საქართველო
1 Z.Gamsakhurdia Named Right Bank, 0114 Tbilisi, Georgia;
+995 032 225 33 02/99

367-04-2-202611161413

N 04-367
16/11/2026

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით კარგარეთელს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის რესურსების XI-B სალიცენზიო ბლოკზე, (საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონები) შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გეო კონსალტინგი“ ამზადებს ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტის - პატარძეული აჯგდ 4-ის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გიგზავნით შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს მიერ წარმოდგენილ ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტის - პატარძეული აჯგდ 4-ის გზშ-ის ანგარიშსა და განცხადებას, რომელიც საზოგადოების ინფორმირების მიზნით უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (მოთხოვნის შემთხვევაში - უზრუნველყოფილი იქნას მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას სააგენტო გეგმავს 2026 წლის 21 დეკემბერს 14 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში. გთხოვთ, უზრუნველყოთ გარდაბნის მუნიციპალიტეტში აღნიშნული საკითხით დაინტერესებული საზოგადოების დასწრება საჯარო განხილვაზე.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი